სსიპ  ქიული შარტავას სახელობის

ქ.სენაკის N-2  საჯარო სკოლის

I-ა კლასის დამრიგებლის

მეგი გრიგოლიას

# ანგარიში  2023-2024  სასწავლო წლის

# მანძილზე  გაწეული მუშაობის  შესახებ

**2023-24**

**წელი**

მოგახსენებთ რომ 2023-2024 სასწავლო წელს I ა-კლასს ვასწავლიდი ქართულს, მათემატიკას, ბუნებას , მუსიკას, ხელოვნებას და სპორტს . ამავდროულად ვიყავი ამავე კლასის დამრიგებელი. ზემო აღნიშნულ საგნებში სასწავლო წლის დაწყებამდე შედგენილი მქონდა სასწავლო საგნების კურიკულუმი.

Iა კლასში ირიცხება 25 მოსწავლე. ამათგან 14- გოგო, 11-ბიჭი.

I- კლასის მოსწავლეებს 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში სახელმწიფოსგან საჩუქრად გადაეცათ კომპიუტერები. ასევე სწავლის დაწყების პირველივე დღეს მერხებზე , კომპიუტერებთან ერთად დახვდათ გრიფირებული სახელმძღვანელოები ყველა საგანში.

I -ა კლასში მუშაობა საინტერესოდ მიმდინარეობდა. 25-ვე მოსწავლე ფიზიკურად და გონებრივად ჯანმრთელია. კლასში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე. მოზარდები აქტიურად იყვნენ ჩართულნი არა მარტო სასწავლო პროცესში, არამედ სხვადასხვა სახის კლასგარეშე წრეებში ( ცეკვა, მუსიკა , სიმღერა.... ) , რაც ხელს უწყობს მათ გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას.

ვმუშაობდი და შეხვედრები მქონდა მშობლებთან. ჩატარებული მაქვს ოთხი მშობელთა კრება;

1) 2023 წლის 18 სექტემბერი-მშობელთა კომიტეტის არჩევა,სამომავლო გეგმები.
2) 2023 წლის 21 დეკემბერი- პირველი სემესტრის შედეგების გაცნობა-შეჯამება.
3) 2024 წლის 29 აპრილი- 1-ელი კლასის დასრულებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება, ექსკურსიის საკითხის განხილვა.
4) 2024 წლის 13 მაისი -მთელი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შეჯამება.

სასწავლო წლის დასაწყისშივე ყველა მშობელს ავუხსენი ინსტრუქცია თუ როგორ უნდა დარეგისტრირებულიყვნენ ონლაინ ჟურნალში. 25 -ვე მშობელი დარეგისტირებულია ონლაინ ჟურნალში, რათა თვალი ადევნონ მოსწავლეთა სემესტრულ განმავითარებელ კომენტარ-შეფასებას.

ვატარებდი აღმზრდელობით მუშაობას სადამრიგებლო საათებზე. პირველი სემესტრის განმავლობაში ჩატარებული მაქვს სხვადასხვა მიმართულების **28 სადამრიგებლო საათი;**

**2023 წლის 4 ოქტომბერს** ჩავატარე საზეიმო გაკვეთილი ქართულში („აი იას" შემობრძანება) თემაზე: „აი ია ლეგენდა და ზღაპარი", რომლის მიზანი იყო:

- საზეიმო და ამაღლებული განწყობის შექმნა, რათა ეს გაკვეთილი განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყოს ბავშვებისათვის.
- ი და ა ასო-ბგერების გაცნობა;

**2023 წლის 27 ოქტომბერს** ამავე კლასში ჩავატარე იაკობ გოგებაშვილის იუბილისადმი მიძღვნილი გაკვეთილი „იაკობ გოგებაშვილის 183 წლის იუბილე", რომლის **მიზანი იყო:**

- მოსწავლეებში საკუთარი ქვეყნისადმი, გამოჩენილი ადამიანებისადმი სიყვარულის გრძნობის განვითარება.
- ინფორმაციის მიწოდება ისტორიული მოვლენების, ცნობილი პიროვნებების შესახებ;

**2024 წლის 1 მარტს** I –ა კლასში ჩავატარე დედის დღისადმი მიზღვნილი გაკვეთილი , თემაზე: ,,დედავ, ცხოვრების ბურჯო მაგარო!", რომლის **მიზანი იყო:**

- მხატვრული კითხვისა და საკუთარი გრძნობების, ემოციების გადმოცემის უნარის განვითარება;
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება;

წარმოდგენილი გაკვეთილის თემა და მიზანი თანხვედრაში იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. გაკვეთილის გეგმის შედგენისას გავითვალისწინე I კლასის ქართული ენის საგნობრივი პროგრამის მოთხოვნები. ჩემი გაკვეთილის მიზანი გამომდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმიდან და ემსახურებოდა ინდიკატორებში გაწერილი შედეგების მიღწევას.

**2024 წლის მარტის თვეში** (მთლიანად დავუთმე მარტის თვე) განვახორციელე კომპლექსური დავალება ბუნებაში. ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპებად გაწერილი აქტივობების ბოლოს მოსწავლეებმა შექმნეს პროდუქტები: **,,ლეპბუქები"**. მათ შეისწავლეს კომპლექსური დავალების არსი და დანიშნულება. სამომავლოდ კი ახალი კომპლექსურის განხორციელება არ გაუჭირდებათ .

**2024 წლის 12 აპრილს** I –ა კლასში ჩავატარე დედაენის დღისადმი მიძღვნილი გაკვეთილი ,,ო, ენავ ჩემო!", რომლის მიზანი იყო:

- ქართული ენისადმი პატივისცემისა და სიყვარულის უნარის გამომუშავება;
- მშობლიური ენის სიწმინდის დაცვაზე ზრუნვა ;

ჩემი გაკვეთილის მიზანი გამომდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმიდან და ემსახურებოდა ინდიკატორებში გაწერილი შედეგების მიღწევას.

**2024 წლის 22 აპრილს** I –ა კლასში ჩავატარე დედამიწის დღისადმი მიძღვნილი გაკვეთილი : ,,დედამიწის დღე", რომლის მიზანი იყო:

- დანაგვიანებით გამოწვეული საფრთხის გაცნობიერება;
- გარემოსადმი მზრუნველობითი დამოკიდებულების გამომუშავება;

წარმოდგენილი გაკვეთილის თემა და მიზანი თანხვედრაში იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. გაკვეთილის გეგმის შედგენისას გავითვალისწინე I კლასის საგნობრივი პროგრამის მოთხოვნები.

**2024 წლის 30 აპრილს** I-ა კლასში ჩავატარე ჯადოსნური სიტყვების წარმოთქმა-გამომუშავებაზე ორიენტირებული გაკვეთილი : ,,ბუსუსუნა ბუს ამბავი", რომლის მიზანი იყო:

- მოსწავლეებში განვავითაროთ ურთიერთსიყვარულის და პატივისცემის უნარი.
- მოსწავლეებმა შეიგრძნონ ჯადოსნური სიტყვების ძალა.

გაკვეთილის გეგმის შედგენისას გავითვალისწინე I კლასის ქართული ენის საგნობრივი პროგრამის მოთხოვნები. ჩემი გაკვეთილის მიზანი გამომდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმიდან და ემსახურებოდა ინდიკატორებში გაწერილი შედეგების მიღწევას.

**2024 წლის 1 მაისს I-ა კლასში მოვაწყვე სააღდგომო გამოფენა,** სადაც ამავე კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს სააღდგომო დეკორაციები, რომლის მიზანი იყო:

- საუფლო დღესასწაულების მიმართ სიყვარულის და პატივისცემის უნარის გამომუშავება.

სისტემატიურად ვატარებდი სწავლის ხარისხის ამაღლების აქტივობებს. დამოუკიდებელი მუშაობის უნარ -ჩვევის განვითარების მიზნით ყველა ძირითად საგნებში, ვატარებდი მიზანზე მორგებულ სახალისო აქტივობებს, ტესტირებებს, სხვადასხვა სახის დამოუკიდებელ წერებს , რომელიც ავითარებდა მოსწავლეებში დაკვირვების, აზროვნების, ფიქრის და დროის კონტროლის უნარებს.

I-ა კლასში მიმდინარე წლის დასასრულს ჩავატარე მთელი წლის მანძილზე შესწავლილი მასალების შემაჯამებელი ტესტირება ქართულსა და მათემატიკაში.

**ტესტირება მიზნად** ისახავდა :

- I კლასის სტანდარტით გათვალისწინებული პროგრამული მასალების ცოდნის გამომჟღავნებას,

საბოლოო შედეგებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა დონე პასუხობს სტანდარტით გათვალისწინებულ პროგრამულ მასალას.

**2024 წლის 1 ივნისს** I-ა კლასის მოსწავლეები , მშობლები და მასწავლებელი გავემგზავრებით ექსკურსიაზე ქ.ზუგდიდში -დადიანების სასახლეში.ექსკურსიის მიზანი :

- კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა-მონახულება.

სასწავლო წლის ბოლოს 25-ვე მოსწავლე შეფასებულია განმავითარებელი კომენტარით.

მათ გადაეცათ I კლასის დამთავრების დიპლომები.

მთელი წლის მანძილზე   მანძილზე I–ა კლასის მოსწავლეები გამოირჩეოდნენ გაკვეთილებზე მაქსიმალური დასწრებით, მათ არ უფიქსირდებათ გაცდენები.

სენაკი-2024 წელი